

სპორტიელი

გამომცემელი
საქართველო

საერთოული გაზეთი

შაბათი 17 თებერვალი 2001 №27 (1300)

ფასი 50 თეთრი



მოგებით დავიწყეთ, მოგებით გავაგრაქეთ!

ავროპის ერთა თასი. მეორე ტური. 17 თებერვალი



საქართველო - კორტუგალია



თბილისი. ეროვნული სტადიონი. 15 საათი



ბორჯალოსნები ლევან ცაბაძე, ბადრი ხეხელაშვილი, ვასილ აბაშიძე, ვასილ კაცაძე და ბესიკ ხამაშურიძე მატჩს ჩინებული განწყობით ხვდებიან

კვლავ დიდი და კარგი რაგბია ჩვენს სტადიონზე. კვლავაც მოგებისთვის იბრძოდებს საქართველო. ასეთია წესი და ტრადიცია ბორჯალოს გუნდისა მშობლიურ მინდორზე. საქართველოს ესტუმრა პორტუგალიის ნაკრები. საქართველომ პოლანდიაში გამარჯვებით დაიწყო ახალი გათამაშება ევროპის მეორე „ექვსი ერისა“. მორაგბენი ის ხალხია ჩვენს დღევანდელ სპორტში, თვისტომთა გაწბილებას რომ არ გაჩვეულან და ცხვირის აბზუებაც წესად არა აქვთ. ეს ის ხალხია, ჩვენი ქვეყნის დამარხულ ძალებს მინდორზე რომ აცოცხლებს. სხვანაირად არც შეიძლება იყოს, სხვანაირად ამ თამაშს აზრი არა აქვს, სხვანაირად რაგბის თამაში თამაში აღარ არის. დღეს, სამ საათზე საქართველო მეორე ნაბიჯს დგამს დიდ ტურნირში, რომლის გზის ბოლოც მსოფლიოს თასის ელიტაში გამოჩენის საშუალებასაც იძლევა. დღეს ვერც ავდარი წაგვანდენს და ვერც პორტუგალია. მოგებით ვიწყებთ! მოგებით ვიწყებთ! მოგებით ვაგრძელებთ! შაბათი — სარაგბო დღე. ბრძოლის, იმედის და ვაჟკაცობის დღე.

იხილეთ მეათე გვერდი



ბასკო 77:64 გროდნო-93

გუშინ ბათუმში ჩრდილოეთ ევროპის საკალათბურთო ლიგის (NEBL) მეორე დივიზიონის, იგივე „ჩელენჯ კაპის“ ტური დაიწყო.

საქართველოს ჩემპიონმა, ბათუმის „ბასკომ“ ევროდებიუტი ბელარუსის ჩემპიონის, „გროდნო-93“-ის იოლად ძღვევით აღნიშნა.

ამ მატჩამდე ერთმანეთს ორი ესტონური გუნდი დაუპირისპირდა. ქვეყნის ჩემპიონმა ტარტუს „დელტამ“ 72:54 მოუგო ოლიმპიურ ჩემპიონ ტიიტ სოკის განვრთნილ ტალინის „ნიბიტს“. მატჩი იმსაჯა ქართველმა ზაზა მაჩალაძემ, რომლისთვისაც ეს პირველი საერთაშორისო შეხვედრა იყო.

დღეს „ბასკო“ „ნიბიტს“ ეთამაშება, „დელტა“ — „გროდნო-93“-ს. ტურნირი ხვალ, „ბასკო“ — „დელტას“ და „გროდნო-93“ — „ნიბიტის“ შეხვედრებით დასრულდება.

იხილეთ მეექვსმეტე გვერდი



ვახტანგ ნაცვლიშვილი პიოტრ კრიშჩიკს გაუარბის

ილგუშა ფხაბაძე ბათუმშიდან

- ინგლისი**
II ლივიზიონი
XXXII ტური
მიუნხენი და ბერლინი
- გერმანია**
XXII ტური
მიუნხენი 22 ანტარატი
01 იანა (22), 02 კრისტოფი (79), 12 მიქაი (72),
22 ჰელენი (81)
- II გუნდისლიცა**
XXII ტური
ნიურნბერგი 21 კაინი
ვალდჰოფი 21 პანოვი
- იტალია**
სერია B
XXIII ტური
რომა და პესკარა
- საფრანგეთი**
II ლივიზიონი
XXIX ტური
ნიცა 20 კაინი
ლე პარი 23 სოფი
- ჰოლანდია**
სიტარდი 03 ანატი
01 ვალდჰოფი (10), 02 ვან დერ გუნ (24), 03 კრუ
ზი (77)
- გელგია**
XXV ტური
ვისტარლი და ვალდჰოფი
- ჩეხეთი**
XVII ტური
ბრატისლავა 12 პრეზიდენტი
- თურქეთი**
XXI ტური
იშტარლი 01 ვალდჰოფი
- პორტუგალია**
XXI ტური
ავაჟორა 12 პანოვი



მიუნხენი — აინტრაბტი 22. მიტი ფრედ კი დამთავრდა, მაგრამ ჯერ იყო და მიუნხენელთა კაპიტანი მარკო კურტი დაეცა მინდორს გარეთ, მერე კი აინტრაბტელმა პორტ ჰელდტმა რომან ტიისი ჩაწილა



REUTERS მიუნხენიდან

დინამოს იერარქია კატრონი. მეართველი. პრეზიდენტი



შიშარა და კვლავ დაეპატრონა შსს „დინამოს“, „მრეტიბის“ და ფიფას ვალეტიც დროულად გაუსტუმრა, მაგრამ კლუბის რეგისტრაცია და სტრუქტურის ჩამოყალიბება ჯერაც უახლოესი მომავლის საქმეა.

გუშინ შსს-ში მორიგი თათბირი ჩატარდა. „დინამოს“ რეგისტრაციისთვის საბუთები გამზადებულია და ორშაბათს ყოველივე იურიდიულად გაფორმდება. გადაწყდა, რომ კლუბის მმართველობას სამკაცინი სამეთვალყურეო საბჭო გასწევს. საბჭოს წევრთა ვინაობაც ორშაბათს გაცხადდება. სამეთვალყურეო საბჭოში შსს-ის თანამშრომლები არ იქნებიან. კლუბის პრეზიდენტს კი უშუალოდ გუნდის საქმიანობის წარმართვა დაეკისრება — ამგვარი იქნება საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ მმართველობის სტრუქტურა. როგორც „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნიკა ივანიშვილმა გვითხრა, რეგისტრაციის პროცესი უზრუნველყოფს ფაქტობრივად გადაწყვეტილია, თუმცა ესეც იურიდიულად ჯერ კიდევ გასაფორმებელია.

მას შემდეგ რაც „დინამოს“ პოლიცია პატრონობს, გუნდიდან არც ერთი ფეხბურთელი არ წასულა. მოსკოვის „ტორპედო-ნილსი“ გასასინჯად მყოფი თენგიზ სიჭინავა კი თბილისში დაბრუნდა. ეს ფეხბურთელი „დინამოს“ ნახევარდაცვის ხერხემალს წარმოადგენდა და, რა თქმა უნდა, მისი კვლავ „დინამოში“ ხილვა რეგისტრაციისთვის მეტად სასურველია. მაგრამ საქმე ისაა, რომ



რეგისტრაციის

სიჭინავას უკვე დაუმთავრდა კონტრაქტი „დინამოსთან“. ასლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, დათანხმდება თუ არა იგი კლუბის მიერ შეთავაზებულ პირობებს. ყველაფერი მაშინ გადაწყდება, როცა „დინამოს“ წლიური ბიუჯეტი ოფიციალურად დამტკიცდება **ღამით თავმართილამა**

პოპუზებით და პოპუზებით!

ნახალაფლევს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ულტიმატუმში წაუყენა მოვალე კლუბებს: ვინც ჩემპიონატის განახლებამდე ბოლომდე არ გაისტუმრებს დავალიანებას, პირველივე საგანაფხულო ტურში ტექნიკური წაგება ჩაეთვლება, მომდევნო ტურამდე ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში კი ჩემპიონატიდან მოიკვეთება.

სფფ-ის მოვალე 14 გუნდს ჯამში 51 950 ლარი ჰქონდა გადასახდელი. ფედერაციის განცხადებას პირველი ფოტის „კოლხეთი“ გამოეხმაურა და 600 ლარით შეითხელა ვიბე. ორივე დღის წინ კი კოლხებს მეორე უმაღლესლიგელმაკ მიბაძა — „სიონი“ პირნათელია სფფ-თან. ბოლნისელებმა 800 ლარი გადაიხადეს და სრულად გაისტუმრეს ვალი. ამრიგად, სფფ-ს კიდევ 50 550 ლარი აქვს მისაღები, რომლის გადახდაც ოთხ უმაღლესლიგელ და რვა პირველილიგელ გუნდს ეკისრება.

ფაქტობრივად გარკვეულია „ბათუმის“ საკითხიც. ზღვისპირელებს ამას წინათ სფფ-ის თანამშრომელი ვია ძამუკაშვილი შეხვდა და პირობა მიიღო, რომ რამდენიმე დღეში „ბათუმი“ ბოლომდე გაისტუმრებდა ფედერაციის ვალს. ჩემპიონატის განახლებამდე ბევრიც არ და-

რჩენილა, დანარჩენი კლუბებიდან კი ვალის დაბრუნების თაობაზე ჩამოიწიეს არ იმის და ეს მაშინ, როცა ზოგ პირველილიგელს, შესაძლებლობიდან გამოძინარე, ფედერაციის უსამელოდ დიდი ვალი აქვს: „მილანს“ 15 200, „ზუგდიდს“ 9 300, „თორს“ და „ხობს“ კი შესაბამისად 7 700 და 7 200 ლარი.

მოვალეთა დამქარება სფფ-მ ერთი გადაწყვეტილებითაც სცადა.

მოგესხნებათ, ფედერაცია ფიფა-უეფასგან გრანტის სახით ყოველწლიურად იღებს სხვადასხვა საფეხბურთო ატრიბუტებს. ამასთან დაკავშირებით ქართული ფეხბურთის მამებს წლეულს გვარიანი დავა ჰქონდათ საბაჟოსთან, მაგრამ ბოლოს მაინც შეძლეს ნაწიური ბურთების და სამედიცინო-სპორტული ჩანთების მიღება. პოდა, სფფ-მ დაადგინა უმაღლესლიგელებს. 10-10 ბურთის მიიღებენ, პირველ და რეგიონული-კლუბებს კი 5-5 და 3-3 ბურთი გადაეცემათ. ამასთანავე გეგმის მიხედვით უმაღლეს-პირველი ლიგების 24-ვე გუნდი მიიღებს სამედიცინო-სპორტულ ჩანთებს. ძაღლის თავიც აქ არის დამარხული: ის, ვინც ვალს არ გადაიხდის, უსაჩუქროდ დარჩება.

ბაბაბა კვანტალიანი

პოპუზებით და პოპუზებით!

ასოფლიოს თასი

გარბიშ პარტენკირხენი. გერმანია. ქალები. სუპერგიგანტი.

1. კაროლ მონტიე (საფრანგეთი) 123,15
2. რენატა გოული (ავსტრია) 123,16
3. ბრიგიტ ობერმოზერი (ავსტრია) 123,36

საერთო ჩათვლა

1. იანა კოსტელინი (სორვატია) 1066 ქულა
2. რენატა გოული 965
3. რეინა კუანო (საფრანგეთი) 890



გერმანელი მარტინა ერტლი ტრასის დამცვე ბაღში გაეხა, დისტანცია კი პირველმა ფრანგმა კაროლ მონტიემ დაასრულა

იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რეაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250მ². დამხმარე ფართი 80მ². პირველ სართულზე.

ქუთაისში

ირაული აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ „სალიოსთან“

☎ (231) 717 58

REUTERS გარბიშ პარტენკირხენიდან

ზაზა ჯანაშია... მოკრავ თუ არა თვალს მორიდ ნერილს „სპორტ ეკსპრესში“ „ლოკომოტივის“ ქართველ ფორვარდზე, წამსვე გაიფიქრებ, კიდევ რაღაც ჩაიდინაო. „ლოკომოტივის“ ექიმებმა უკვე თეორიები ჩამოაყალიბეს ჯანაშიას ორგანიზმზე, ზედმეტ ნონაზე, ფეხბურთელის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. ჩვენმა მოსკოველმა კოლეგებმა რუსეთის ჩემპიონატის ათი ყველაზე სკანდალური მოთამაშის სია გამოაქვეყნეს. გაგვიკვირდა, როცა ჯანაშია მეორე ადგილზე ვიხილეთ. რუსებს თურმე ჩვენებურზე ჭირვეული მოთამაშეც ჰყოლიათ. ზაზას კონსტანტინ კოვალენკომ აჯობა. ათეულში შევიდნენ ახლახან გატორპედოვლებული მიხეილ აშვეთია და ისევე ალანგილი მამუკა ნერეთელი.

მოსკოველი ჟურნალისტი იური ბუტნევი გაზეთ „სპორტ ეკსპრესში“ ზაზაზე მოგვითხრობს და ნერილისთვის ჩვენებურთან ინტერვიუც დაურთავს.

მამ ასე, რუსი კოლეგის თვალით დანახული ზაზა ჯანაშია...
...ჯანაშია განუმეორებელია. კავკასიურმა ტემპერამენტმა და ევროპულმა მაქსიმალმა ზმმა იგი გამორჩეულ მოთამაშედ ჩამოაყალიბა. მას შეუძლია, ითამაშოს ცუდად ან კარგად, მაგრამ არასოდეს ჰგავს სხვებს...
...ჯანაშია და ზედმეტი ნონა ცალკე თემაა. ყოველი სეზონის წინ ერთი და იგივე მეორედებოდა, არდადეგებზე ზაზა სამშობლოს მიაშურებს, აგემოვნებს უგემრიელეს ქართულ კერძებს და...
ზედმეტი ნონის რეკორდი გასული სეზონის დასაწყისში დაამყარა, როცა სიომინს 12 კილოგრამით მძიმე გამოეცხადა. მწვრთნელსაც მოთმინების ფიალა აევისო...
...რატიომ უყვართ ჯანაშია „ლოკომოტივის“ ქომაგებს? კითხვას ზაზა ასე პასუხობს: ალბათ, იმიტომ, რომ მინდორზე შემოდილი ვიქცევი. ოღონდ ჩემმა გუნდმა მოიგოს, ხალხმა ისიამოვნოს და ამისთვის მზად ვარ, ნემსის ყუნწში გავძვრე.



გოლი: ზაზა ჯანაშია ყირაზე

შეუღლილი ჯანაშია სიომინის ჭირვავული ოქსანამ მოარჯულა

— ზედმეტი წონა მუდამ გაწუხებდა?
— მას შემდეგ, რაც ფეხბურთის თამაში დაიწყო, წონის პრობლემა ფეხბურთელობისას ჩემს მწვრთნელ მურთაზ ხურცილავასაც ჰქონია. ამიტომ ამის გამო არასდროს მსაყვედურობდა.
— წლებს საქმე როგორ გამოასწორეთ?
— ძალიან უბრალოდ: არდადეგებზე შინ, ზუგდიდში არ წავსულვარ. ეს ყველაფერი ჩემი მეგობარი გოგონას, ოქსანას დამსახურებაა. მან აძიქულა, მოსკოვში დავერჩინელიყავი.
— ახალი სეზონის დაწყებამდე თუ რი სიომინმა „ლოკომოტივში“ თქვენი მომავალი ძალიან მუქ ფერებში დახატა?
— იური პავლოვიჩმა პირდაპირ მამახალა: არდადეგებისას თუ კვლავ გასუქდები, „ლოკომოტივთან“ ახალ კონტრაქტს ისევე ვერ დანახავ, როგორც საკუთარ ყურებსო.

აგორებდნენ, ამ დროს მე წრეს წრეზე ვუკლიდი.
— გაპროტესტება არ გიცილიათ?
— თქვენ როგორ გგონიათ, სიომინს ხომ არ ვუტყვოდი, სირბილი არ მინდა, სხვაგვარად ვივარჯიშებ-მეთქი, აქ საფეხბურთო გუნდაა, ბაგა-ბაღი კი არა.
— შეგებოთ, კორეულ „სამსუნგში“ გადაბარებულყავით. გარემოს გამოცვლა ზოგჯერ სასარგებლოცაა.
— კორეაში 1 თებერვალს მელიდნენ, მაგრამ როცა ყველაფერი ავსონ-დავსონე, გამეზარებაზე უარი ვთქვი. კარვად ვიცი, კორეაში რაც მელიდა, სამი წლის წინ სწორედ „სამსუნგში“ ვიყავი გასინჯვაზე. ამდენი მიიღეს ჩემს ცხოვრებაში არ მიბრუნია, „სამსუნგში“ ყოფნისას რომ მარბენინეს. ამის განსენებაც კი მზარავს. ყოველდღე ორ მატჩს ვთამაშობდი. კლუბს ბევრი ახალწვეული ჰყავდა და მწვრთნელს ყველა მათგანის გამოცდა სურდა. ამას დაუმატოთ ის ცხრა საათი, თვითმფრინავში რომ გავატარე. არა, ძალიან არ მომეწონა კორეა. მართალია, ფინანსური თვალსაზრისით „სამსუნგში“ თამაში შეიძლება უკეთესიც კი იყოს, მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერი ფულით როდი იზომება.



კობა ჟორჯიაშვილი

დღეობაზე ბერბანიაში

გამთენიისას, 4 საათზე, გერმანიაში გაფრინდა საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრები. ქართველები ასწლოვანი „ალენის“ საფეხბურთო სკოლას სტუმრობენ და საზეიმო დღეებში ორ საკონტროლო მატჩს გამართავენ გერმანულ თანატოლებთან.

კობა ჟორჯიაშვილმა 17-წლამდელთა ოთხი 1984 წელს დაბადებული ფეხბურთელიც დაუმატა. გერმანელთა სულგრძობით, ნაკრები დაგეგმილზე სამი დღით ადრე ქვევა ქალაქ ნორდლინგენს და იქ ერთ კვირას დაჰყოფს. სასტუმრო „კლოუსტერლეში“ დაბინავებული ქართველები 20 თებერვალს ნორდლინგენში დაუპირისპირდებიან გერმანიის ნაკრებს, ორი დღის შემდეგ კი იგივე გუნდს ალენში გაეჯიბრიან, დანარჩენ დროს ჟორჯიაშვილის გუნდი საწვრთნელი შეკრებისთვის გამოიყენებს.

გერმანიაში გამეზარებად ქართველი ჩვიდმეტწლამდელი ერთიანი შეკრებაზე იყვნენ თბილისში. ნაკრების ძირითადი ბირთვი „ნორნი ლინდამოლის“, „ირაოსა“ და 35-ე საფეხბურთო სკოლის ბაზაზე დაკომპლექტებული თუძკ კობა ჟორჯიაშვილს რეგიონებში მოთამაშე ნიჭიერი ყმაწვილებიც არ დაუტოვებია უყურადღებოდ და საზღვარგარეთ გორელი, ბათუმელი, თელაველი და ფოთელი ფეხბურთელებიც წაიყვანა. გერმანიას გაფრინდა ქართველთა დელეგაციას სუფ-ის ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ყიფიანი თავკაცობს.

„ალენის“ ასი წლის იუბილეზე კობა ჟორჯიაშვილმა ეს 18 ფეხბურთელი წაიყვანა: მეკარეები: ჯვარშიევილი (დინამო), მუჯირიშვილი (ვაკე 91) მცველები: ჭელიძე (აკადემია), მიქიაშვილი (ირაო), ოგბაძე (თბილისი), ახალაია (გოლგადორი), ებრაძე (დინამო), დოლიძე (ოლიმპიკი) ნახევარმცველები და თავდამსხმელები: კაპანაძე, ლუჭაშვილი (35-ე ს.ს.), კვახაძე, კაციტაძე (დინამო), დოჯაჯა, ელიავა, იაშვილი (ირაო), მახარაძე (ბათუმი), ყავჭავაძე (დიალა), ხმაღაძე (თბილისი).

ბაბაბა კვანტალიანი

ფეხბურთის ფედერაცია და საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო“ სამიძიარს უცხადებენ საქართველოს ნაკრებისა და „დინამოს“ მეკარეს სოსო გრანიჭავაძის გამო



ზაზა ჯანაშია ახალ სეზონს გამსუბუქებელი ხედება

— ზამირი თავდამსხმელადა დაბადებული თამაშისას ექვსი-შვიდი გოლის გატანა მისთვის პრობლემა არ არის. 12 წლისა, ალბათ, ორ წლიწინდელი მეორე გუნდშიც დამკვიდრდებოდა.
— თქვენსათვის ტანსრულია?
— არა, პირიქით. ძალიან და ტანხმელი. უკვე 41 ზომის ფეხსაცმელი სჭირდება.
— ვის ჰგავს ასეთი?
— ბაბუსა. 210-სანტიმეტრიანი გოლიათი იყო, კარებში არ ეტეოდა.
— ზამირს ხასიათი ვისი გამოგვა?
— ჩემი. ისიც არავის ეუუება.
— თქვენ მინც თუ გიჯერებთ?
— მე კი, მაგრამ სხვას არავის. თუმორის გრძნობა აქვს. ერთხელ, მორიგი ტურნირის შემდეგ, შინ მოდის და მასხრად მივლდები. ეს წუთია, „სპარტაკს“ სამი გოლი გაუტანე, შენ კი არ ვარგისხარ, ერთის მუტი არ შეგმიღიაო. ვოცნებობ, მასთან ერთად ერთ გუნდში ვითამაშო, ურიგო დუგეტი ნამდვილად არ იქნება.
...ჩვენი მოსკოველი კოლეგა ინტერვიუს შემდეგ სიტყვებით ამთავრებს: „იური სიომინი ორ ჯანაშიას ნამდვილად ვერ აიტანს!“

ბაბაბა კვანტალიანი

ტანკო სისხლმა გაყიდა



ობრაძემ ტანკო: მინც გამიყვანა


რმაღურ გუნდში თამაშობ, თუმცა...
ეს ყველაფერი თურმე არ ჰყოფნის განის ნაკრებისა და ლორტქუნდის „ბორუსიას“ 23 წლის ყოფილ თავდამსხმელ ობრაძემ ტანკოს. იგი ახლა ჩვენებურების — იაშვილის, კობიაშვილის, ცქიტიშვილისა და კინაძის „ფრაიბურგში“ ირიცხება, მაგრამ ჯერ არ უთამაშა, ზამთარში შეუერთდა ფოლკერ ფინკეს გუნდს.

ტანკოს ახლახან ძველი ცოდვები გაუსხენეს: გახსოვს, ნოემბერში გერმანიის თასის მატჩის შემდეგ დოპინგ-ტესტის გაკლავზე უარი რომ თქვიო. ხოლო რატომ დეკლარდენ, მოკლედ გეტყვით — იგი ნარკომანი ყოფილა. ეს ჯერ 15 დეკემბერს დადასტურდა, როცა განელიის სისხლის ანალიზში მარიხუანას ნაკვალევი აღმოჩინეს, სულ ახლახან ჩატარებულმა ხელმოწერე ექსპერტიზამაც დადებითი პასუხი გასცა.

გაიგო თუ არა გერმანიის საფეხბურთო კავშირმა, ტანკო ნარკომანიო, მყისვე განაჩინებ გამოიტანა — „ფრაიბურგის“ თავდამსხმელი 15 000 მარკით დაჯარიმდეს და „სულ ცოტა“ ოთხთვიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯოსო.

აი, ასე. ტანკოს მარიხუანისადმი ლტოლვა ძვირად დაუჯდა. იგი 16 აპრილამდე ფეხბურთს ვერ ითამაშებს.

გიორგი გუგუშვილი



ვერონის და ნესტას სანაცვლოდ „რეალი“ 70 მილიონ დოლარს იხდის



პერუსი დიდ ფულს გააძღვის გამოუზოვით მადრიდში ვერონი და ნესტა!

სამშაბათს ესპანეთის დედაქალაქს იტალიის დედაქალაქის კლუბი ეწვია. მადრიდის „რეალისა“ და რომის „ლაციოს“ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრა ზღაპრულად ლამაზი გამოდგა და საბოლოოდ ესპანელთა გამარჯვებით დასრულდა. ამ თამაშის შემდეგ კი ადრე მრავალჯერ თქმულ ტრანსფერზე კვლავ აღაპარაკდნენ. „რეალს“ რომაული კლუბის ორი წამყვანი მოთამაშის — მცველი ალესანდრო ნესტასა და არგენტინელი ნახევარმცველ ზუან სებასტიან ვერონის შეძენა სურს.

თუ ხსენებულ ორ ფეხბურთელს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გამოუშვებთ, სანაცვლოდ 70 მილიონ დოლარს გადაგიხდითო, უთვლის „რეალი“ „ლაციოს“. ისიც განმარტდა, რომ კლუბების პრეზიდენტები, რომელი სერჯო კრა-

ნიოტი და მადრიდელი ფლორენტინო პერესი, მომავალ კვირაში „ლაციოსა“ და „რეალის“ ჩემპიონთა ლიგის მატჩის შემდეგ რომში აპირებენ შეხვედრას, რათა კიდევ უფრო დააკონკრეტონ თავიანთი პირობები.

ნახსენები 70 მილიონიდან 50 მილიონი ზუან სებასტიან ვერონის საფასურია და თუ ეს ტრანსფერი განხორციელდება, არგენტინელი მსოფლიოში მესამე ძვირადღირებული ფეხბურთელი გახდება. აქვე ისიც ვთქვათ, რომ პირველი ორი სწორედ ამ კლუბებში თამაშობს. 56 მილიონად ღირებული ფიგუ რეალელია, ხოლო 54-მილიონიანი კრესპო — ლაციოელი.

ისიც გაგისხენოთ, რომ ზუან სებასტიან ვერონი ამჟამად ბევრი სხვა ფეხბურთელის მსგავსად საპასპორტო სკა-

ნდალშია გახვეული და ვერაფერით არკვევენ, მართლაც იტალიურ წინაპარი ჰყავდა თუ არა.

როგორც კი ვერონის „რეალში“ შესადლო გადასვლის საკითხი წამოიჭრა, ერთ-ერთმა სააგენტომ უმალ გამოაქვეყნა იმ კლუბების სია, რომლებმაც არგენტინელის გადაბირების სურვილი გამოთქვეს. „სამეფო კლუბის“ გარდა, ასეთი კიდევ სამია.

მათ შორის არის „მილანი“. ეს კლუბი ყოველთვის ინტერესდება ძლიერი და ნიჭიერი მოთამაშეებით, თანაც ფინანსების უქონლობას არ უჩივის და თუ მოისურვა, სავსებით შესაძლებელია, ვერონი „სან სიროზე“ აღმოჩნდეს.

ხსენებულ სტადიონზე მოხვედრა არგენტინელს სხვა გზითაც შეუძლია — მისი შემენით „ინტერიცაა“ დაინტერესებული.

მესამე მსურველი კლუბი კი „მანჩესტერ უნაიტედი“ა. თუმცა ვერონის „ოლდ ტრეფორდზე“ მოხვედრა, ალბათ, ყველაზე ნაკლებად რეალურია, რადგან ადრე პრემიერლიგური კლუბის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ არგენტინელში ასეთ დიდ თანხას არ გადაიხდის „ლაციო“ კი, ცხადია, თუ ვერონი გაუშვას მის სახაცვლოდ ცოტას არ მოითხოვს.

ახლა ალესანდრო ნესტაზეც ვთქვათ, „ლაციოს“ ახალგაზრდა კაპიტანზე, რომელიც ქომაგებს განსაკუთრებით უყვართ. მის სანაცვლოდ „რეალი“ 20 მილიონ დოლარს გამოიხდის და თუ ტრანსფერი განხორციელდა, იტალიის ნაკრების ფეხბურთელი მსოფლიოს უძვირესი მცველი გახდება. ასეთი კი დღემდე ინგლისელი რიო ფერნანდია, რომელიც „ლიდს იუნაიტედმა“ „ვესტ ჰემისგან“ 18 მილიონ დოლარად იყიდა.

ნიტა ფუხლამი

რესტორანი მზიანი ღამე



ბანსლუბული მუშაობა გაუმჯობესებული სარისხით დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

- * პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
- * გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3

(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

მობრძანდით, გვინდეთ: კმაყოფილი დარჩებით

გერმანია ვანო ოპროპირიძე

მადლობა რთი წაგალი იყოს...



2000 წლის 20 მაისი: შარშან „ბაიერნი“ უნტერჰაჩინგს მადლობა ასე გადაუხადა

Table with 2 columns: Club Name and Score. Includes XI ტურის results for various teams like შინტპარკსი, ჰანზა, etc.

Table with 2 columns: Player Name and Score. Lists players like ბაიერი, შალკე, ლევერკუზენი, etc.

გაცხადებენ 2000 წლის 20 მაისი? თუ არა, გაგახსენებთ — იმ დღეს, შარშანდელი ბუნდესლიგის ჩემპიონატის ბოლო ტურში, „უნტერჰაჩინგმა“ შინ ლიდერ „ლევერკუზენს“ 2:0 მოუგო, შედეგად ჩემპიონი მიუნხენის „ბაიერნი“ გახდა. მაშინ კულისხმები ერთი ამბავი ატყდა, უნტერჰაჩინგი მიუნხენის მეზობელი და „ბაიერნის“ ხაზო-რით დალო მინდორზე თავი. ისიც ითქვა, „ბაიერნის“ პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი ის კაცი არაა, ვინმეს ვალში დარჩეს, აი, ნახეთ, თუ „უნტერჰაჩინგი“ გაისად პირველი ბუნდესლიგიდან გაგარდესო.

„ფრაიბურგი“ კოტბუსში ჩადის და სამი ქული-სთვის ბრძოლას აპირებს. ეს სულაც არ ჩანს მიუღწეველ მიზნად, მით უმეტეს, გუნდს კელი და კულიბალი დაუბრუნდნენ. საგარეო შემადგენლობაში არის ალექსანდრე იაშვილი, რომელიც ოთხშაბათს უკრაინელებთან მატჩისთვის კი გამოიძახეს, მაგრამ წინა კვირას „ჰანზასთან“ შეხვედრაში მიღებული ტრავმა გაუმიზუნდა და ეროვნულ გუნდს ვეღარ დაეხმარა. საგარეო შემადგენლობაში ლევან ციტიშვილს ვერ მოეკარით თვალი, ალბათ სათადარიგოებში იქნება.

ჭკუბ სტევენსიც ამას ჩივის, ოღონდ უახლესი ტურები გადაგვაგორებინა და მერე რადაც გვეშველებოთ. მწვრთნელის საწახარი გუნდში მომრავლებული ტრავმიერებული ფეხბურთელებია: ტონი, ვაღდოხი, კამპუსი, ჰელი. დისკალი-ფიკაცია აქვს ბიომეს. თუმცა გუნდის მთავარი დამრტყმელი ძალა, სანდი-შპენზას ლუეტი, კვლავაც ჯანსაღია.

შრანკშურტის „აინტრახტის“ მმართველი საბჭოს თავმჯდომარე სტევენ იელლიკის სა-მუშაო მაგიდის პირველ უჯრაში ერთი ფურცელი ინახება. იელლიკი სამსახურში ყოფნისას ხშირად ამოიღებს-ხოლმე ამ ფურცელს და იქ გარკვეულ ცვლილებებს ახდენს. მილით, კვანძს ცოტა გაუხსნით და გეტყვით — ქაღალდზე გერმანული მწვრთნელების თუ მწვრთნელობის მსურველების გვარ-სახელებია ჩამოწერილი. როგორც ამბობენ, საკმაოდ დიდი სია ყოფილა — ტოპმო-ლოერი, ჰენკე, მათეუსი, სკიბე, შეფერი...

წითელი და ლურჯი ბოჯორჯი. შანკე. მათეუსი. სკიბე. დაუმი...



„აინტრახტმა“ თვალი კრისტოფ დაუმს დაადგა

შედეგად კლუბის სპორტული დირექტორი როლფ დომენი, რომელსაც გუნდი, თავდაპირველი გადაწყვეტილებით ერთ მატჩში უნდა გაეყვანა სათამაშოდ, სეზონის ბოლომდე შემორჩება მწვრთნელის ადგილს.

„გვეცონა, მაგათის შემცვლელს იოლად ვიპოვო-ლით, მაგრამ შეგვცით“ — ამბობს დომენი, რომელიც არ მალავს, რომ მწვრთნელის პროფესია მაინცდამაინც არ ხიბლავს. არადა, უკვე ორი მატჩში უთავკაცა „აინტრახტს“ და ორივე მოაგებინა.

„ახლანან კანდიდატა შორის დაუმცე გამო-ჩნდა — აგრძელებს დომენი — რატომაც არა, მას ყველა ჩინებულ მწვრთნელად უცნობთ. შე-ვხვედებით, დაველაპარაკებთ და იმედია, შევთან-ხმდებით კიდეც.“



სუპროლიგა

ჯგუფური ეტაპი. XIV ტური. 14-15 თებერვალი

Table with 2 columns: A ჯგუფი and B ჯგუფი. Lists teams and scores for various matches.

საპროლიგო 76:55 რანანანა

საპროლიგო 76:55 რანანანა

საპროლიგო 76:55 რანანანა

საპროლიგო 76:55 რანანანა

Table with 2 columns: A ჯგუფი and B ჯგუფი. Lists teams and scores for various matches.

ბასკო მატჩი

ბასკო 77:64 ბრუნო-93

ბასკო: როდრიგო (23), ვ. ნაცელიშვილი (17), ქარაბაგი (13), ორმოცაძე (9), ბეგნიშვილი (6), ტუფაძე (6), კოლაძე (3), ნიკოლაძე, მარკოშვილი, საყვარელიძე, გუგუშვილი, გ. ნაცელიშვილი, გროდნოვი, ვაშაძე (13), ფარმანაშვილი (9), კორუნი (8), კრიშჩი (7), ბესერტი (8), ვასილევო (3), საფრონოვი (2), კაჩინი (2), პრიმა (2), შარკო (2), კლემენტი (1), პინტიკოვი (7)



ოლეგ კეშეუცი ლევან ქარაბაგს უფარებს

გროდნოვლებს ოთხი გამოცდილი, 30 წელს გადაცილებული მოთამაშე ჰყავთ, ბელარუსის ნაკრების რამდენიმე წევრიც. ბოლო მეთხედში მწვრთნელი ალბათ მათი გამოცდილების იმედზე იყო. სტუმრებმა ერთი გაბრძოლეს, ბესმერტნი ივარგა და ზედიზედ ხუთი ქულა მოუტანა თავისიანებს. „ბასკო“ ოდნავ მიღუნდა, სამი წუთის განმავლობაში ქულაც ვერ ჩაავლო. ბოლოს მაინც მოიკრიბა ძალა და ორმოცამდე ბესმერტნივით ხუთი ქულით შეავსო ბათუმელთა მარაგი. ქარაბაგმაც იფარა და ანგარიში 77:54 გახდა. თამაშის დამთავრებამდე სამიოდ წუთი რჩებოდა. ბათუმელთა დამრიგებელმა ზურაბ ტომარაძემ ზედიზედ შეუშვა სათამაშოდ ყმაწვილი კალათბურთელები. გროდნოვლები 23 ქულის გამჭვირვალე ნამდვილად არ იყვნენ. იმაზეც მაღლობა უნდა თქვას, მეტოქემ სხვაობა 13 ქულამდე რომ შეამცირებინა. ჩვენი ჩემპიონის ევროდებიუტი წარმატებული გამოდგა. დღეს „ბასკოს“ მეტოქე „ნიბიტა“ იქნება.

მატჩის შედეგი

ალექსანდრ ბორისოვი, გროდნო-93-ის მთავარი მწვრთნელი:

დასამალი არაფერი მაქვს. თუ დამიჯერებთ, ეს ნამდვილად არ იყო ჩვენი გუნდის საუკეთესო თამაში. 64 ქულა გავაკეთეთ. ძალიან ცოტაა. ბელარუსის ჩემპიონატში სამიშნა რიცხვებით ვიგებთ ხოლმე. ბათუმში, ცოტა არ იყოს, უჩვეულო ვითარებაში აღმოვჩნდით, ამ სიტყვის კარგი გაგებით. ჩვენთან კალათბურთის ცარიელ დარბაზში თამაშობენ, აქ კი ასეთი აფორტაჟი დაგვხვდა. ბევრ რამეს ნიშნავს მცურებელი. ჩემმა ბიჭებმა ფსიქოლოგიურად ვერ გაუძლეს. მარტივ სიტუაციებშიც კი სცოდავდნენ. მეტოქემ კი მართლა გამაკვირვა. ეტყობა, „ბასკოს“ სერიოზულად მოეწადა ამ ტურისთვის. ყველა მოთამაშე თავგამოდებით, აგრესიულად იბრძოდა, ამიტომაც ვერავის გამოვყოფ. „ბასკომ“ გუნდური თამაში მოკვივო. მას ძლიერი წინა ხაზი ჰყავს, დაცვაშიც კარგად გამოიყურება, ფიზიკურად არაა დასუსტებული. რა გაეწყობა. დაგმარცხდით, მაგრამ ეს ხომ ტურნირია და წინ ორი თამაში გვაქვს. დაკარგული არაფერია. ეს ტურნირი გუნდები ჩვენთვის უხერხული მეტოქეები არიან, მათთანაც შეგ-

ევროლიგა

მერვედფინალი (ორ მოგებადმდე)

აპოკ 69:73 ოლივიანა

ოლივიანამ 21 მოგვო სერია

მეთხედფინალის პირველი მატჩები გაიმართება 21 თებერვალს

საპროლიგას თასი

მერვედფინალი. საბასუხო მატჩი. 13 თებერვალი

ანტონოვი (გალგია) 20:1 ცრვანა ზამუდა (იუგოსლავია) (9:389)

მეთხედფინალი. 27 თებერვალი - 6 მარტი

პარაზოსი (კვიპროსი) - პამესა (მსახანთი)

ანტონოვი (გალგია) - უნიძი (რუსეთი)

მარუსი (საბარანთი) - ტილაკოვი (გარაგინა)

გალგია (საფრანგეთი) - ანვილი (პოლონეთი)

მეთხედფინალი. 28 თებერვალი - 7 მარტი

მეთხედფინალი. 28 თებერვალი - 7 მარტი

სარბიელი საპროლიგო გაზეთი. გამომცემი 1990 წლის 28 დეკემბერიდან. გამომცემის საფაბრატოს, ოთხსაბაბრატოს, ხუთსაბაბრატოს, პარასაბაბრატოს და შაბაბრატოს. მთავარი რედაქტორი ზურაბ ჯორჯაძე. მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ჯავახიშვილის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29. ელექტრონული ფოსტა: sarbieli@gol.ge. ელექტრონული ვებ-გვერდი: http://www.sarbieli.com.ge